

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

თანამედროვე და ეფექტური სასაზღვრო უწყების ჩამოყალიბება. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მიმდინარე რეფორმა, რომლის მიზანს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება წარმოადგენს. კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მოსაზღვრე ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან არსებული ურთიერთობების განვითარების და ახალი კავშირების ჩამოყალიბების პროცესის ეფექტურად წარმართვას. აღნიშნული მიმართულებით მართვის გაუმჯობესებას. მასზე დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას, სასაზღვრო უწყების ევროპული და დასავლური სტანდარტების სამსახურად ჩამოყალიბებას. ეს კანონპროექტი განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, მოვალეობებსა და საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და მიმართულებებს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ყალიბდება როგორც ევროპული სტილის სამართალდამცავი სტრუქტურა.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სამართალდამცავი ორგანო და სპეციალური სამსახური სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით.

კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაზღვრო პოლიციას მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პოლიციის სპეციალური, განსაკუთრებული უფლებები და ოპერატიულ-სამძებრო, სადაზვერვო (კონტრსადაზვერვო)

საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებანი. აქვს ძალის გამოყენების უფლება, აგრეთვე უფლებამოსილება დაიცვას საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი, განახორციელოს ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს საუწყებო შემოწმების ჩატარება, სამართალდარღვევებზე განახორციელოს ადმინისტრაციული საქმისწარმოება. სასაზღვრო პოლიციას აქვს ინფორმაციის ანალიზის, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისაგან ინფორმაციის მიღების, სტრატეგიული დაგეგმვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის, გაჩერების, დაკავების, ჩხრეკის, ამოღების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთის, ქონების, ადამიანის ან სათავსოს შემოწმების უფლება.

კანონპროექტის მე-11 მუხლით დადგენილია სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაზღვრო პოლიცია სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის, ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების, საზღვრო პოლიციის სამმართველოებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფების, სანაპირო დაცვის, სასაზღვრო ავიაციის, სწრაფი რეაგირების დანაყოფების, სასწავლო, სხვა დაწესებულებებისა და უწყებების ერთიანი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს სასაზღვრო სამსახურის საქმიანობას. მე-12 მუხლის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის მართვას, კოორდინაციასა და საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, რომელიც ამავედროულად არის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით, მას თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან პრემიერ-მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით.

კანონპროექტის მე-13 მუხლის თანახმად განსაზღვრულია სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მათ შორის: სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა, სასაზღვრო ინციდენტებისა და სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება, საქართველოს საზღვაო სივრცეში სახელმწიფოს სუვერენული უფლებების, ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა, ზღვაოსნობის და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვისა და ჰიდროგრაფიული საქმიანობის კონტროლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საქართველოს საზღვაო სივრცეში ტრეფიკინგის, ნებისმიერი კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის,

ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების, - პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა და ა.შ.

კანონპროექტის მე-4 თავის თანახმად, სასახლვრო პოლიციას გააჩნია ოპერატიულ-სამძებრო და სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების უფლება. სასახლვრო პოლიციას საზღვრის უკანონო გადაკვეთის აღმოჩენის, თავიდან აცილების, აღკვეთისა და საზღვარზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ასევე კომპეტენციის არეალში მყოფ პირთა და საგანთათვის შექმნილი საფრთხის დროულად დაფიქსირების მიზნით უფლება აქვს დაამონტაჟოს ავტომატური ფოტო-ვიდეოტექნიკა, თვალთვალის მეშვეობით მოიპოვოს პირთან დაკავშირებული ინფორმაცია. იგი უფლებამოსილია პირთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიპოვოს ბინის გარეთ ტექნიკური საშუალებების ფარული გამოყენებით იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება ქვეყნის უშიშროებას, ადამიანის თავისუფლებას, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს, რომელთა შენარჩუნებაც საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს, იმ შემთხვევაში, როცა ეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილებისთვისაა აუცილებელი, პირთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიპოვოს საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით, რაც მესამე პირისათვის არ არის ცნობილი. სასახლვრო პოლიციას შეუძლია გაჩხრიკოს პირი კანონპროექტის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ჩაატაროს ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების ჩხრეკა, სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე ჩაატაროს ჩხრეკა, შემოწმება, დათვალიერება და ინსპექტირება, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს პირს მოსთხოვოს განსაზღვრული დროით გარკვეული ადგილის დატოვება ან აუკრძალოს კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, სასახლვრო პოლიცია უფლებამოსილია კანონპროექტის 43-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირს დროებით შეუზღუდოს თავისუფლება.

კანონპროექტის მე-5 თავით განსაზღვრულია იძულებითი ღონისძიებები, რომელთა გამოყენების უფლებაც აქვს სასახლვრო პოლიციას მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების დროს. კერძოდ, ამგვარი იძულების ღონისძიებებია: შემცველი ქმედება, ფულადი ჯარიმა და უშუალო იძულება.

კანონპროექტით გათვალისწინებული სასახლვრო პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი, ასევე ზიანის ანაზღაურების წესი და სახეები.

კანონპროექტი შედგება 6 თავისა და 65 მუხლისაგან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები. აღნიშნული კანონის მიღება არის საქართველოს ვალდებულება ევროკავშირთან საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის გეგმის მიხედვით.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:
კანონპროექტი შემუშავებულია გერმანიის ფედერალური პოლიციის ექსპერტებთან ერთად, გათვალისწინებულია აგრეთვე ა.შ.შ.-ს ექსპერტთა რეკომენდაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა

მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პოლიციის ექსპერტები. ა.შ.შ.-ს სანაპირო დაცვის წარმომადგენელი, საქართველოში ევროკავშირის მისია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.